ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №150
(მომსახურების შესყიდვის თაობაზე)

ქ. ბათუმი

25 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ ქედის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი გამგებლის დავით დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ **ა(ა)იპ-„სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის გიორგი ჩხეიძის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

11. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა „შემსყიდველისათვის" უზრუნველყოს კლასიფიკატორის კოდით (CPV-63712400 ავტოსადგომების მომსახურება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება, კერძოდ შემსყიდველის კუთვნილ ავტომანქანებს შემდეგი სახელმწიფო ნომრებით:

1.1.1. სახელმწიფო ნომერი --- **IWI-080**
1.1.2. სახელმწიფო ნომერი --- **HB-838-BH**
1.1.3. სახელმწიფო ნომერი --- **SSG-323**
1.1.4. სახელმწიფო ნომერი --- **WWS-909**
1.1.5. სახელმწიფო ნომერი --- **KSK-779**

თვირთმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე მიეცეთ პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობის უფლება, ხოლო „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურეობა და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. გასაწევი მომსახურების ხელშეკრულებით შეთანხმებულ მოთხოვნებთან და პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემსყიდველი განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებას.

2.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

4. მომსახურების მიწოდების პირობები.

4.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

5. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. 365 (სამასაოცდახუთი) დღის განმავლობაში ერთ ავტომანქანაზე პარკირების სარგებლობისათვის საფასური შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს, შესაბამაისად, შესასყიდი მომსახურების მთლიანი ღირებულებაა 200 (ორასი) ლარი.

5.2. მომსახურების ღირებულება წარმოადგენს „თვითმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და ტაქსების პარკირების ადგილებით სარგებლობისთვის საფასურის დადგენის შესახებ" თვითმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებით გათვალისწინებული გადასახადს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია „შემსყიდველი".

5.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

5.4. „შემსყიდველი" ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ანგარიშსწორებას ახორციელებს შესაბამისი დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) საფუძველზე.

5.5. შემსყიდველის მიერ პარკირების სარგებლობისათვის საფასური გადახდილად ჩაითვლება გადახდის დღიდან მომდევნო 365 (სამასამოცდახუთი) დღის განმავლობაში.

6. გარანტია

6.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, გაწეული მომსახურების ხარისხიანობაზე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის" პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1. „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობები შეუსრულებლობის გამო

10.1. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, სრული პროგრამა ან მისი ნაწილი.

ბ) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

15. შეტყობინება

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მის სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ქედის მუნიციპალიტეტი მისამართი: დ. ქედა, მ. კოსტავას ქ. №3 საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ქედის ფილიალი; ბანკის კოდი **LBRTGE22** ა.ა .**GE82LB0120111389440003**; საიდ. კოდი №246762061 გამგებელი დ. დუმბაძე	ა(ა)იპ -„სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო" ს/კ 445405348. იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25. ფაქტიური მისამართი: ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №81. სახაზინო კოდი 740747499 დირექტორი: ბ. ჩხეიძე